გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენი მიმდინარე წლის 17 ნოემბრის N 11898/01 წერილის შესაბამისად, შეტანილი იქნა შესაბამისი შესწორებები, ჩვენს მიერ მიმდინარე წლის 24 სექტემბერის წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში (სამინისტროს რეგისტრაციის ნომერი N17239,; 24.09.2021), რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, კერძოდ, სკრინინგის ანგარიშში:

- სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი 2.3.1. ცხრილიდან ამოღებულ იქნა სამინისტროს ზემოაღნიშნულ წერილში მითითებული ნარჩენები (ცხრილიდან ამოღებულია შემდეგი ნარჩენები: 15 01 02 პლასტმასის შესაფუთი მასალა; 15 01 03 ხის შესაფუთი მასალა; 15 01 04 ლითონის შესაფუთი მასალა; 15 01 07 მინის შესაფუთი მასალა; 17 02 03 პლასტმასი; 09 01 11* ერთჯერადი ფოტოაპარატები ელემენტებით, რომლებიც განხილულია 16 06 01, 16 06 02 ან 16 06 03 პუნქტებში.
- სკრინინგის ანგარიშს, სატიტულო გვერდზე, მიეთითა განთავსების ოპერაციის კოდი.
- სამინისტროს ზემოაღნიშნულ წერილის შესაბამისად შესწორდა მონაცემები საწარმოდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტის შესახებ.
- ინფორმაცია საწარმოს ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენებით მომარაგების შესახებ, ასევე ტრანსპორტირების პირობების და სქემების შესახებ. (იხ, სკრინინგის ანგარიში, თავი 2.4).

თქვენი მიმდინარე წლის 17 ნოემბრის N 11898/01 წერილისა და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ შესწორებულ სკრინინგის განცხადებას, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. სკრინინგის ანგარიში –ელ. ვერსია
2. საწარმოს GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - ელ. ვერსია.

პატივისცემით,

გია გოგბაიძე

შპს „მედიკალ ტექნოლოგის" დირექტორი

17.11.2021

№ 20807
"18" 11 2021
03